# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №3
**2017 წლის 27 იანვარი**

**ქ. საგარეჯო**

**„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge, 28/07/2014, 010260020.35.165.016137) შევიდეს ცვლილება და დადგენილების დანართის მე-14 მუხლის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უზრუნველყოფს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის და კანონით გათვალისწინებული სხვა ცნობების გაცემას, გარდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ფრიდონ ბურდული**